

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნა-ზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ ТИФЛИСЬ, ВЪ РЕДАКЦІЮ „ДРОБНА“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 ჯ.; 10 თვით— 8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 ჯ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით— 6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 ჯ.; 4 თვით—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

დროება

ბაგოდის ყოველ-დღე ორზაბათს ვარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კობა, გან-ცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებ-ზე. თუ საქროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასახელებად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и за-границы принимаются только въ цент. конторѣ объявл. А. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

ოდროების „ფასი ოქტომბრის 1-დამ წლის დაბლევამდე 3 მანათი.

შინაური მკონიბა

== ამ დღეებში «წერა-კითხვის გა-მაგრეცლებელს საზოგადოებას» მოსე-ლია ქალაქი ხარკოვის უნივერსიტე-ტის რექტორისაგან, რომლითაც ეს უკანასკნელი სთხოვს საზოგადოებას, ქართველ სტუდენტების სახელით, გა-უზიანოს უნივერსიტეტს ქართული წიგნები და გამოცემანი, რექტორი იწერება, რომ აქაური ქართველი სტუ-დენტები, მოშორებულნი სამშობლო-სა, ვერა სარგებლობენ თავიანთ ღვიძ-ლი ლიტერატურის სიმდიდრითა და იძულებულნი არიან თავიანთი განვითა-რება და გონების ვარჯიშობა საკუ-თარის ლიტერატურის გამოჩენილ ნა-წარმოებთა გარეშე აწარმოებინათ.

საზოგადოების მმართველობას, რა-გორც შევიტყვით, გადუწყებთა გაე-გზავნოს ხარკოვის უნივერსიტეტს შესა-ნიშავი ქართული წიგნები, რომელნიც დაბეჭდილნი არიან და რომელნიც შემდეგ დაბეჭდებიან.

== ამავე «საზოგადოების» მმარ-თველობას დაუნიშნავს მასწავლებელი სოფ. ხელთუბნის (ზორის მაზრა) სკოლაში ბ. ს. ბამრე ელი და გა-

დუწყებთა, რომ ხელთუბნის სკოლა ოქტომბრის 1-ს გაიხსნას.

== ალავერდობისათვის იქაურის დი-დი ტაძრის შეღების დროს მალა გუმბათიდან ჩამოვარდნილა ერთი ოსტატი (რუსთავანი) და იქვე სული განუტევებია. ბამბედავს ოსტატს დი-დი სახლობა დარჩენია უპატრონოდ («ნოვ. ობოზრ.»).

== ამავე გაეტოს სწორენ ერთს თითქმის ამგვარსავე ამბავს ღუშეთის მაზრიდან: ბოდორნოს მონასტერი, რომლის დღეობაც სექტემბრის ცხრას მოდის ხოლმე, ისეთ მიუფალ ალაგ-ზეა აგებული, რომ მლოცავნი იძუ-ლებულნი არიან ზედ კლდის ცხვი-რებზედ დაბინავდნ ხოლმე. ამის გა-მი ყოველ-წელიწადს აქ აუცილებე-ლია, რომ რამ უბედური შემთხვევა არ მოხდეს. ამ წელს კლდიდან ერთი ბულაჩაურელი გლეხი გადმოვარდნი-ლა და სრულიად დაშხვრეულა. მხო-ლოდ მეორე დღეს უზოგნაით მწარედ დასახიჩრებული გვამი საცოდავისა ღრმა ხევის ძირას.

== მს ვაზეთიფე გვატყობინებს, რომ მუთაისში ბულვარზე, ზედ შუა-დღის

იმავე ნომერში დაბეჭდილია კო-რესპონდენცია პროვინციიდან, რომელშიაც ნაამბობია შემდეგი: ნ. ამა-ტუნის ზვარი იყიდა გრაჟმა შერემე-ტიევმა. ახლის მფლობელის მოუ-რავმა მოინდომა მოიხელიე გლეხების ზვრიდან დათხოვნა და უჩივლა სი-ლნალის მომრიგებელ მოსამართლეს თან, რომელმაც დაადგინა, გლეხები მაშინ გავიდნ, როცა მოსავალს შე-მოიკრეფებო. ცოტა ხნის შემდეგ ზვრის ღობეს ცეცხლი გაუჩნდა და რამდენიმე ადგილი დაიწვა. მოურავებმა გლეხებს დააბრალეს, უჩივლეს ადმი-ნისტრაციულის წესით და აგვისტოს 3-ს თუ 4-ს სილნალის მაზრის უფ-როსმა ექვსი გლეხი იმ რვათავანი ხელ-შეკრულები არეკა სილნალს და ციხეში დაატუსალა. ღღესაც სხედანო, ამბობენ.

მს ორი ამბავი დაწერილებით ამოე-წერეთ და ერთმანეთს დაეუბრადაბი-რეთ არა იმისთვის, რომ ან ერთს მოხელეს საკმევლი ფუკიოთ, ან მეორეს უმდაბლესად საყვედური მო-ვახსენოთ. შორაპნელი გლეხი, საპრო-ბილეში სრულიად უკანონოდ მოქ-ცეული, შორაპნელმა მოხელემ განა-

გულზე, მკვლელობა ჩაუდენიათ. მრთ-ს ახალ-გაზდას გვარად ბ. მოუკლავს ქუთაისის მაზრის უფროსის თანაშემ-წე. ამ მკვლელობის საბაბად შემდეგი მოჰყავთ: ბ. ძალიან დაახლოვებული ყოფილა ერთს ქალთან, რომელიც თანაშემწის მეზობლად მდგარა. მკვლე-ლი თითქმის ყოველ-დღე დადიოდა თურმე ამ ქალთან. ამბობენ, რომ მოკლულმა ოჯახიკალურად გამოუც-ხდა პოლიციას, რომ ბ. სარაკიპო სახლის პატრონიაო და როდესაც ბ-ს გაუგონია ეს, შეხვედრია მაზრის უფ-როსის თანაშემწეს და უკითხავს, რა საბუთით ავრცელებ ჩემს შესახებ მაგ-გვარ ხმებსაო. ამზედ იმას უპასუხ-ნია: იქით გამეცალიეო. ბ-ს ვერ მოუ-თმენია ესა და სილა გაურტყავს. თა-ნაშემწეს თუმცა ხმალი ამოელო, მაგ-რამ ბ-ს ამ დროს ხანჯალი დაეცა გულში.

== სომხური ვაზეთს „არაველქში“ შემდეგი ცნობანია მოყვანილი პატ-რიარხის ნერსესის ავადმყოფობის შე-სახებ: აგვისტოს 21.

„ღიდის მწუხარე-ბით შევიტყვით, რომ ყოველად უსამ-ლედლოვის პატრიარხის (ნერსესის) მდგომარეობა უარესი ხდება და მეუ-ფე დღეს დილით ღირსი შეიქმნა წმ. ზიარებისა“.

აგვისტოს 22-ს. «გულის წუხილით დაერწმუნდით, რომ მეუფე თან-და-თან უფრო ცუდად ხდება. ბუშინ

თავისუფლა და განათავისუფლა იმი-ტომ, რომ მისი მოვალეობა ამას ავო-ნებდა. ძაპიტანი ხ-ჩი, რომლის ღორიც გლეხმა შუთკარაძემ თავის ყანაში ქეფობის გულისათვის საი-ქიოს გაისტუმრა, იქნება კანონებში ცოტა კოჭლობდეს (ბ. ხ-ჩი და არა ღორი) და ამ გვარის იურისპრუდენ-ციულის გაცვეთილისათვის დიდი მად-ლობა უნდა მოეხსენებინა შორაპნე-ლი მოხელესათვის. იქნება, სილნალე-ლი მოხელეც ისე განსწავლული იყოს კანონებში, როგორც შორაპნელი, მაგრამ სილნალი სხვა განლაგეთ, შო-რაპანი სხვა. ამ ორს ქვეყანაში სხვა-და-სხვა ზნე და ჩვეულება მე-ფობს. მათ შუა რამდენიმე მთაა ამართული და რამდენიმე მდინარე მიმდინარეობს. მაშ უნდა დარწმუნე-ბული ვიყოთ, რომ სილნალელი მო-ხელე სწორედ სილნალის სამართლი-საებრ მოიქცა, როცა კარდნა-ხელ გლეხებს გამოუძიებლად ციხე-ში ამოუყო თავი... * *

ზორი მართლის მეთაურიაო, ამ-ბობს ჩვენი გამოჩენილი პოეტი. იქ-

კვლავ შეიკრიბა დოქტორების კონ-სილიუმი. შოვლად-უსამღვდელოს სა-მი ღამე არ სძინებია, სუნთქვა უჭირ-დება და ტანს ყოველ-წამს წამლებით უზეღენ.»

აგვისტოს 23-ს. «წუხელის ავა-დ-მყოფს მოსვენებით ეძინა.»

მღვდელ-მთავარს მოუსურვებია, რომ პატრიარხატის საქმეების შეუჩე-რებლიე მსგელობისათვის თანაშემწე დაუნიშნონ მას.

მაზეთი ამბობს, რომ ნერსესის შე-წუხებულის მდგომარეობისაგამო, სტამ-ბოლის სომხობას უთხოვნია პატრიარ-ხისთვის, რათა ამ უკანასკნელმა განკარგულეობა მოახდინოს, რომ ყვე-ლა სომხის ეკლესიებში (სტამბოლ-ში და სტამბოლს გარეშემო) სამის დღის განმავლობაში განუწყვეტლიე პარაკლისს ხდილობდნ და დიდს სე-რობასა პროკულოზდენ მის ყოველად-უსამღვდელოესობის ჯანმრთელობისა-თვის. მს სურვილი შესრულებულ-იქმნა და სამი დღის განმავლობაში დილა-სალამოთი სომხის ეკლესიები იმოდენა ხალხით ივსებოდა, რომ აღდგომა დღეს თუ დაესწრება ხოლმე იმდენი ხალხიო.

== სახელმწიფო ქონებათა სამინის-ტროს ხელში გადავიდა, როგორც ვი-ციოთ, ყველა სახელმწიფო ტყეები ძაე-კასისა, დასავლეთის შიშბირისა, ტურ-გაის ოლქისა და პოლშის სამეფოს გუბერნიებისა. იმ აზრით, რომ წესი

ნება. მაგრამ რომ ზორის ესრედ-წოდებულს ინტელიგენციას გაუჭირ-დება მეთაურობა, არც ეს არის საე-ტეო. წარსულ კვირა დღეს ამ ინტე-ლიგენციამ გამართა უფასო წარმოდ-გენა, სადაც საბოლოოდ ულონი მოსა-მართლეთა სკამებზედ ისხდნ და ბრალ-დებულთა სკამებზედ კი იჯდა, ანუ უფრო იდგა, ბ. ალალო თუთაე-ვი, რომლისათვისაც ულუფად ერთი სალფეთკი... დაეურები მიეცათ. მს ყრილობა გახლდათ მომხარებელ სა-ზოგადოების, ანუ «დებოს» ყრილო-ბა. ღილ, გორელები ახალ-მოდის ხალხნი არიან და «დებობიც» იციან; ტყუილად ხომ არ გაუზიანეს თა-ვიანთ სამეუფეო ქალაქიდან მწუ-ხარების ტელეგრაჟა ბარიბალდის ნა-თესავეებს ამ გმირის სიკვდილის დღეს. ჰო, იმას მოვასხენებდით, დე-პოს ყრილობა იყო გამართული. ბამ-გეობას ამ დაწესებულებებისა შედგე-ნენ სამნი პირნი, რომელთა შორის არის ბ. ალალო თუთაევიც. «შო-რის» კი არა, ეს ყოფილა სრული გამგე დებოსი სამის წლის განმავლო-ბაში: დუქანიც ამასა ჰბარებია, საქო-ნელიც უზიდნია, წიგნებიც უმართავს,

«დროების» ძეგლტონი, სექტ. 23-ს

საპირაო კამტონი.

202-ე №-რი ჩვენის ვაზეთისა.—ნი-მუშები სრულის უსიტეობისა.—ჩე-მი ქეიფია და ასე ჩავდივარ.—გორის მომხარებელი საზოგადოების ყრილო-ბა.—საბრალდებულ ონი მოსამართლედ დასხმული.—სონის პესტალოცი.—მეგრული «დედა-ენა».—რა აბრკო-ლებს ჩვენს თეატრს.—განცხადებანი.

ნუ გეგონებთ, რომ ზემოდ აღნი-შნული ნომერი ჩვენის ვაზეთისა მართ-ლა შესანიშნავი რამ იყოს. თუ იგი დავასახელებთ, დავასახელებთ იმიტომ, რომ ამ ნომრის ზედა და ქვემო ეტა-ჟაში ორი პატარა ამბავია ნააბობი: «შინაურ ქრონიკაში» სწერია: დაბა ზესთაფონში გლეხს მალაქია შუთკა-რაძეს მოუკლავს თავის ყანაში ერთი ღორი. ღორი ყოფილა ადგილობრი-ვი კამანდის უფროსის, კაპიტანის ხ-ჩისა, რომელმაც ამ დანაშაულო-ბისათვის სალდათებს ძალზე აცემინა შუთკარაძე და მასუკან საპრობილე-ში ჩასვა, ვიდრე უკანონოდ დაჭრი-ლი მაზრის უფროსმა არ გამოაშვე-ბინა.

მე ვიქნებოდი შემდგენელი და არა სულხან ორბელიანი, რომელსაც არ უნებებია ამ გვარად გაწყობა თავის ლექსიკონისა. ამის დასამტკიცებლად შეხვედებით ლექსებს, როგორათა: „პურადი, პურადი, პურადი...“ და სიტყვა პურა კი არა აქვს ახსნილი. უნდა განსოვდეთ რომ ავტორი ლექსიკონისა ცდილა (უმეტეს წილად მაინც), უძველესი სიტყვები აეხსნა ადვილ-გასაგონ სატყვეთ და ზოგჯერ ენციკლოპედიურად.

შემოხსენებულისავე მიზეზებით არა მქონდა სიმართლე შემეჯანა ლექსიკონში „იმისთანა სიტყვები, რომელთაც ღღეს ჩვენში საყოველთაოდ ხმაწობენ“ და ან რისთვის უნდა შეტანილ ყოფილიყენ ამ გვარი სიტყვები, თუკი ეკვასაგან გასაგონნი და მისაგნებნი ახანა?..

შემდეგ მ-ქ-ს-მე ბძანებს, რომ „უცხო სიტყვების მომდინარეობის ახსნა ადვილი იყო ჩუბინოვის ლექსიკონის შემწეობითაო“.

ითუ ოდესმე განვიძრან ლექსიკონის შედგენა და უცხო ქვეყნების ლექსებს ახსნა საჭიროდ დავინახე, მაშინ ვისარგებლებ ამ დამოძღვრებით, მაგრამ ჩუბინოვის ლექსიკონს კი მაინც ისე ახირობულად ვერ დავენ-დობი.

მერმეთ კორექტურულ შეცდომებზე გვესაყვედურება რეცენზენტი. ამაში არ არის იგი უმართლო, მაგრამ ეს ცოდვა ისე აუცილებელია, როგორათაც საათს ვერ მოვთხოვთ მუდმივ სისწორით იმეზოს.

მასრულებ რეცენზენტის სურვილს და მოვასხენებ რომ ლექსიკონის გამოცემის დროს მქონდა ექვსი ვარიანტი ლექსიკონისა: 1, ჩემი საკუთარი,

ბოთი წიგნი და ახირობის წარდგენასაო. ჩვენა გვეითხვენ, სადა „ჯერ არს“ ამ გვარი წიგნების წარდგენა მისაღებად და დასამტკიცებლად. ამის პასუხად ახალ-გაშა ავტორს მოვასხენებთ— არა ჯერ არს „მწყერი შე-ჯდეს ხესა, რადგან არა არს გვარი მისი“.

სექტემბერი დადგა და საცაა გა-დადგება კიდევ, მაგრამ ქართული წარმოდგენები ჯერ დამია. ზოგნი რა მიზეზს ასახელებენ ამ მოვლენისას, ზოგნი რას. ჩვენც გვეკვირს ეს ამბავი. მითქო პიესები თორნის კუ-ტებსავეთა ცხვება, მთავრობა არავითარის გზით არ აბრკოლებს მათს წარ-მოდგენას; დრამატული საზოგადოე-ბის კომიტეტი დღეში ორჯერ იყრება სათეატრო საქმეებზედ მოსალაპარაკებლად, მაგრამ არწიურისეულ თეატრის დარბაზში კი ჯერ „ი“-ებისა და „ინ“-ების მეტი არ ისმის-რა. ამ მოვლენის მიზეზად ერთი რამ მიგვიჩ-ნია ჩვენ: ის, რომ ახალი ანტრეპრე-ნიორი ბ. ნებიერიძე ჩვენს გაზეთს უყურადღებოდ სტოვებს და მეტადრე საკვირაო ჭელტონების განცხადებებს. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ— ერთი

2, განსვენებული სერგეი მესხისა *), 3, იონა მეუნარგისა, 4, დიმიტრი ბაქრაძისა, 5, ავალიშვილისა და 6, დავით რეკტორისაგან შესწორებული და გადაწერილი ტარასი არხიმანდრი-ტისაგან, აწ კუთვნილება ნათლი-მცემ-ლის მონასტრისა.

მ-ქ-ს-მე კითხულობს: რა ჰქონდა სახეში და საგნად საბა-სულ-ხან ორბელიანს თავის საფრანგეთში მოგზაურობაზედა? ამაზედ მე უც-ნობელი ვახლავარ და თუ ამისხნის ბატონი და პატრიცემული მან — ქარ — ხან — ძილი, — დიდად დავუმაღლებ.

დასასრულ რეცენზენტს ეძვირება ფასი ლექსიკონზე დადებული.

ამ საგანზედ მე არა მეთქმის რა, რადგან ლექსიკონი გამოიცა ალექ-სანდრე ენსკოპოვის საფასით, მისს საკუთრებას შედგენს ეს გამოცემა და ფასიც მანვე დასდო; მაგრამ, ფინ იცის, იქნება ამ საფასის შეკრებას ისეთი დანიშნულებაცა ჰქონდეს, რომ ეს ფასი კიდევ იცოტაოს, საზოგადოე-ბამ რომ გაიგოს მისი კეთილი და წმიდა მიზანი... და თუ ჩუბინოვის ლექსიკონი კი ფასობს 6-7 მანათი, რა მიზეზთა, რომ საბას ლექსიკონი, ავტორის სურათით, არა ღირდეს იმ ფასად, რა ფასადაც ის გაუჩინ-რავთ?..

თ. რაფ. კახთაჯა.

უცხოეთი.

საშრანბათი. ამას წინად ჭრანტუ-ზულს გაზეთებში გავრცელდა ხმები, რომ იქაური კაბინეტის თავი მოგვის

*) როგორც უვარგისი, უვანვე დავებრუნე პატრონს მის სიცოცხლეშივე. ავტ.

ორჯერ რომ დაბეჭდოს თავის პრო-გრამა ამ განცხადებებში, თეატრს იმდენი ხალხა მიაწყდება, რომ ტევა აღარ იქნება და ბ. ნებიერიძე სიხარუ-ლით ჩვენს აქტიორ-აქტრისებს ჯამა-გირებს გაუორკეცებს და ავანსით სამი წლის ჯამაგის წინ-და-წინვე დაურიგებს. ჩვენის აზრის დასამტკი-ცებლად ბ. ნებიერიძე წაბზადეს იმ კონცერტზე, რომლის პროგრამაც დღესა გვაქვს გამოცხადებული, და მხოლოდ მაშინ დააუხანებს იგი ჩვენის სიტყვების საფუძვლიანობას.

ბანსხადმბანი:

ქართული კონცერტი — მონსტრი განყოფილება 1-ლი

I. ლუეტო: „ღედამ რომ შეილი გაზარდოს, ემაგრე ჩვენისთანაო“, შეას-რულებენ ბ. ი. მოგებაშვილი და ნ. სხვედაძე.

II. „სცენებსა“ ლექსიკონიდან წაი-კითხავს თ. რაფ. მრისთავი.

III. თ აკაკი წერეთელი თავის პოემას „თორნიკე მრისთავსა“ უმეკე-ლად არ წაიკითხავს.

IV. „მის“ ამავე პოემიდან სულს ამოართმევს კათედრიდან ბ. ანდრია ლულოძე (რედაქტორი და გამომცემე-ლი ნობათი-სა) და უშა სცენაზე ორ სტაქანს წყალს დაღვეს.

მთებში წავიდაო. ამ მგზავრობის შესახებ ეხლა ზოგიერთა ჭრანტუზულსავე გა-ზეთებში სწერენ, რომ შულ-აქერი მო-გვებში კი არა, ბერმანიაში წავიდა ინკოგნიტოდ და თავადი ბისმარკი ნა-ხაო. მართის გაზეთის ენელი კორეს-პონდენტი ნამდვილად ამტკიცებს ამ შემთხვევას და ამბობს, რომ შულ-აქერის და ბისმარკის ერთმანეთის ნა-ხვის ამბავმა ვერ მიალწია გაზეთებამ-დინ პირველად იმიტომ, რომ მეტად მარჯვედ და მოხერხებულად დაჰვარა შულ-აქერიმ მგზავრობაში თავის ვი-ნაობა და მეორედაც იმიტომ, რომ ერთის გაზეთის მოგველმა კორესპონ-დენტმა ტყუილად გამოაცხადა, ვი-თამც იმას შულ-აქერი მოგვებში ენა-ხოს და ებასნოს კიდევ მასთანაო.

— „მოსკოვის უწყებთა“ სექტემბ-რის 14-ს მოსულია პარიჟიდან ტელე-გრამა, რომლიდგანაც ვტყობულობთ, რომ ძლიშში და სენტ-შანში ხოლე-რით და სახადით ავადმყოფობა ეხლა უფრო იშვიათად არის, ვიდრე წარ-სულს ზაფხულს; ექიმები ამ ავადმო-ფობის მიზეზს ცუდს წყალს აწერ-ნო.

ავსტრია-მონბრია. სეიმის წევრთა ამორჩევები გათავებულა ხორვატიაში და იქაურს გაზეთებს ეხლა სულ ამ ამორჩევების შედეგზედა აქვთ თურ-მე სჯა. ოჭიცილოზური გაზეთები დი-დის კმაყოფილებით ლაპარაკობენ ამ საგანზედ და ამტკიცებენ, რომ მო-მავალს სესიაში უმრავლესობა „ნა-ციონალურისა“ დასის მხარეზედ იქნე-ბაო (ნაციონალური დასი მმართვე-ლობის მომხრეა). „დამოუკიდებელთა“ დასის ორგანიც სიამოვნებით აცხადებს, რომ სტარჩევიჩის მომხრენი, უეჭვე-ლია, ბევრს სკანდალს მოახდენენ და

ლი ნობათი-სა) და უშა სცენაზე ორ სტაქანს წყალს დაღვეს.

V. ხოროს სიმღერა „ნახევარ ულუ-ფაზედ დაგვხსნეს“ (ფრიად მწუხარი ხმა). შეასრულებენ მუთათისის ბანკში მო-სამსახურენი.

განუათილება 2

I. ბ. ბ. შიფშიძე თვალსაჩინოდ უხვენებს მაჟურებლებს, მეხუთე საუ-კუნეში ქართველები ყაბლოუ-ფლავს როგორა სკამდენ.

II. „რად შემვივარებ, განა არ ვიცი, — შენ ჯერ ნოჩი ხარ, მე კი მოხუცი“ ივალობებს ბ. პეტრე შმი-კაშვილი.

V. ბ. მოჩუბარიძე დასდგამს ცო-ცხალ-ცოცხალ სურათებს, სადაც გამოყვანილნი იქმნებიან მისნი გმირ-ნი სიკო, სიკვა, სიკია და ძიძია.

ეპილოგი

მონოლოგი პიესიდან „მე მინდა ანტრეპრენიორი გავხდე“: იწუწუნებს ბ. ნებიერიძე.

(3-1)

ხვედურეთის აბანოები

გორიდან 15 კეჭსზე.

აბანოების გამგებელნი ამით აცხა-დებენ, რომ ამ წყალს თვისება აქვს

სეიმს მოქმედებას დაუშლიანო. სე არ-ჩევიჩის გაზეთი კიდევ სრულყოფილად და-დებს იმის გამო, რომ მრავალი ნაციონალ-ლური დასის წარჩინებული მოთავეთა-განი არ ამოირჩიეს დეუტატებად და უკიდურესი მარცხენა მხარის კანდი-დატებმა დაამარცხეს იგინი აღმორჩე-ვებზე. ამასთანავე, ამ გაზეთს უხა-რიან ის გარემოება, რომ სტარჩევი-ჩის დასმა ამოარჩევიანა თვისი კანდი-დატები ახლად შემოერთებულ სამ-ხედრო სამხედროს ზოგიერთა მაზრებ-ში. ამოარჩევების დროს ხორვატიაში დიდ-ძალი ჯარი მდგარა და ამის წყა-ლობით ამოარჩევებს მშვიდობიანად ჩაუვლიათ, მაგრამ ეხლა კი, ჯარების გაყვანის შემდეგ, ზოგიერთა მაზრებ-ში შფოთი ატეხილა და იმ პირო, რომელთაც კენჭი მმართველობის მო-მხრე დასის კანდიდატებს ჩაუდგეს, ძრიელ სდევნიან და დიდს შეურაცხე-ბას აყენებენ თურმე მცხოვრებლები. ისე შეუშინებია ამ შფოთს ხალხი, რომ ბევრი მათგანი იყრება თურმე და სხვა მხარეში მიდის თავ-შესაფარებლად. ამას გარდა, ერთს მაზრაში ადგი-ლობრივი გლეხები წინ დაუხვდა თურ-მე ამორჩევებიდგან უკან დაბრუნე-ბულს კომისიას, რომელიც დეუტა-ტების ამოსარჩევად იყო დანიშნუ-ლი, და აღარ უშვებდა ზაგრებში. ამ დროს მისულა ქანდარმების რაზმი და იმათ დაუხსნიათ განსაცდელისგან კომისიის წევრნი; მაგრამ გლეხებს ქან-დარმებისთვისაც ძრიელი ჩხუბი აუ-ტეხიათ და უკანასკნელთაც, რასაკვირ-ველია, ხელი გამოუღლიათ, მრავალი გლეხი დაუჭრიათ და ერთი მათგანი ძლიერაც დაუშვებიათ. როგორც მენის გაზეთები იწერებიან, გლეხე-ბი კარგად ყოფილან დაიარაღებულ-ნი, მაგრამ ქანდარმებს ჯერ ისევ

განსწმინდოს და განასვეტაკოს მზანე-ბელნი როგორც ხორცეულად, ისე სულიერად. დასამტკიცებლად აბანოე-ბის პატრონებს შეუძლიანთ წარუდ-გინონ მსურველებს მალოზბის წე-რილში მეცხრამეტე საუკუნის ნაბა-ბისა და სანსურ-პანსურისა, რომელ-ნიც ორი კვირის ბანებით სრულიად განიწმინდენ და ღონე მოიცეს ახა-ლის მოღვაწეობისათვის.

ბ. „დროების“ დილექტორო! რო-მელიც რომ ენკენისთვის ექვსსა დღე-სა ჩვენი საქმე იყო პალატაში დანიშ-ნული და ადვოკატად ბ. ქველი გვევანდა, აყვანილი და რომელიც რომ არ გამოცხადდა, ჩვენ ამისათვის უმორ-ჩილესად ემადლობთ და ყოველთვის მაგის მლოცველნი ვიქნებით, გთხოვთ რომ ეს ამბავი თქვენ გაზეთში ჩააგ-ლო.

დათა მწუხრიაშვილი, იორამა ბა-სურებულაძე და პეტრე მოტყუილე-ბულაშვილი.

რომ მოსულიყო, იქნება სიმბირი აქეთ დაგვრჩენოდა.

(1-1)



ამორჩევადის აუყრიათ მათთვის იარაღი. თვით ზაგრების ქუჩებშიც მომხდარა შოთი და უწყობა; ერთის სახლისთვის ფანჯრები სულ ერთიანად ჩაუტყვევიათ და რამოდენიმე ამორჩევლისთვის, რომელთაც კენჭი მმართველობის კანდიდატების სასარგებლოდ ჩაუგდიათ, შეურაცყოფა მიუყენებიათ.

გელგია. ბელგიის მეფესთან მივიდა თურმე ამას წინად 820 საზოგადოების დეპუტაცია ბრიუსელის ბურგომისტრის წინამძღოლობით და წინააღმდეგობა გამოუცხადა სასკოლკანონის შესახებ. მეფეს უთქვამს დეპუტატებისთვის: „მე მტკიცედ გადავწყვიტე ვინც მძღვანელო სახელმწიფოს სურვილითა, რომელიც ორივე პალატათა უმრავლესობამ გამოაცხადა“. მაზეთები ირწმუნებინ, რომ ლიბერალები არ აჭყვებიან კლერიკალების მავალითს და დემოკრატების სასკოლ კანონსა, მაგრამ ხალხისეა თურმე აღლევებული, რომ ემინიანთ, არეულობა არ მოხდეს.

შვეიცარია. საკავშირო რჩევის განკარგულებით ექვსი გერმანიელი და პესტრიელი ხელოსანი გაუღვენიათ შვეიცარიიდან ანარხისტული მოქმედებისათვის.

იტალია. როგორც ამას წინად ტელეგრამამ გვაუწყა, პაპა ლეე XIII-მ დიდძალი ფული შესწირა სახლოერო საავადმყოფოს გასამართავად და ცირკულიარით გამოაცხადა, რომ მას განძახება აქვს, ვიდრემდის ებიდებია მძინვარებს, დასტოვოს განდევნილი ცხოვრება და ხოლმე ერთ ავადმყოფნი ნახოს ხოლმე. მაზეთების სიტყვით, ეს გარემოება ამტკიცებს იმას, თუ რა ძრიელი შთაბეჭდილება მოახდინა იტალიაში მეფე ჰუმბერტის ხოლმე მოდებულს ნეპოლში მისვლამ. რომის მღვდელმთავარს უნდა აჩვენოს ხალხს, რომ იმასაც შეუძლიან იღვწოს, როდესაც საქმე ტანჯულთ შეეხება და ამით უნდა დაამციროს ის შთაბეჭდილება, რომელიც იტალიის მეფემ იქონია ხალხს თვისი თავ-განწირულობითა. ზოგიერთა გაზეთები კიდევ ამტკიცებენ, რომ ამ მოქმედებით პაპა იწყებს გაერთიებულს იტალიასთან შერიგებასაო, მაგრამ ჰეშტის ლაიდის სიტყვით, ესეთი განმარტება ძრიელ უსაფუძვლოა, რადგანაც ბოლოს დროს რომის კურთხის ძლიერებამ დამნიშვნელობამ შესამჩნევი ძალა მოიკა. ამის დასამტკიცებლად გავის მოჰყავს კლერიკალების გამარჯვება ბელგიაში, პრუსიასთან მორიგება და ის ძლიერი გავლენა, რომელიც მათ იტალიის ხალხ ედა აქეთ. „მიდრემდის კურთხე ძლიერად გრძობს თავის თავს — ამბობს ხსენებული გაზეთი, — არაოდეს მორიგებას არ ეცდება იგი“.

ხოლორა შესამჩნევად სუსტდება იტალიაში. ნეპოლიდან ასი ათასს

მცხოვრებელ მეტი გაქცეულა. ნეპოლში სულ 210 სალდათი გამხდარა ხოლმე ერთ ავად; ამითში 76 კაცი მომკვდარა. ამას გარდა, ნეპოლში ათი მღვდელი უმსხვერპლია ხოლმე.

ცელეგრები

(„ხრდილოეთის საგენტოსი“)

სექტემბრის 21-ს

კიშვი. ეპისკოპოსთა კრებულის უგანასკნელს სხდომაზედ შეადგინეს საკრებულო ეპისტოლე; ეპისტოლე გაიგზავნება უველა ეკლესიებში, რომელნიც ექვემდებარებიან შვერებილ არქიელთა სასულიერო უწყებას და საგნადა აქვს გაადღიეროს ხალხში საწმუნოება და კეთილი ზნეობა.

ქაირი. მოხსენება მოვიდა, რომ ბერბერი წაართვეს აჯანყებულებსა, რომელთაც ნაზინის წადება მაინც კიდევ მოასწრესო. ოპიცი-ალურად ამტკუნებენ იმ ამბავს, ვითომც ღორდი უოლსლეი უგან მიეხმოთ.

სექტემბრის 22-ს.

პეტერბურგი. ჭინანსთა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება, რომ ამას იქით ტამოქნის ბაჟის გადასახდელობით მიიღებოდენ მეშვიდე სესხის ობლიგაციები.

გუშინ გზების მინისტრის თანადასწრებით სამხედრო გემებმა გავლეს ზღვის არხი. კრეისერი „აჭრიკა“ რომელიც წინ მიდიოდა, გზაზე გარიჟა, მაგრამ სხვებმა კი თავისუფლად გაუარეს გვერდით. ამ გვარად დაწმუნდენ რომ არხი საკმაოდ არის განიერი. „აჭრიკის“ გარიჟვის მიზეზი ის არის, რომ ეს ვებერთელა გემი ძნელად ბრუნდება ვიწრო ადგილზე. სავაჭრო გემები კი დაუბრკოლებლად დადიან არხში. ორ საათზე უველა გემები ნიკოლოზის ხიდთან იუვნენ; მათ შორის კრეისერი „აჭრიკაც“ იყო, რადგანაც იგი მალე დასძრეს რიუიდამ.

გასაცია „შავი ბანდის“ მონაწილე დამნაშავეთა სენატმა უყურადღებოდ დასტოვა.

„ახალ დროებას“ გაუგონია, რომ მომავლის 1885 წლიდამ გუბერნატორებს და ქალაქ-მთავრებს: ჯამაგირი მოემატებათ.

კოპენჰაგენი. გუშინ სადამოს სულ მთლად დაიწვა ხელმწიფის სასახლე ხრისტიანბორგი. სურათები და ძვირფასი ნივთიულობა გადაარჩინეს ცეცხლს. ცეცხლის გაქრობაში და ნივთების გადარჩენაში მონაწილეობა მიიღო რუსის სამხედრო გემის კამანდამ.

ცნობანი

მაზანდა

ხორავისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, ლუქნებში და ხელდახელ 1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე 1884 წ.

გამომცხვარი ზური რუ-			
სეთის ფეკელისა	—	1 გირ.	5 კ.
აქაურის ფეკელისა	—	1 გ.	2 1/2
მეორისა	—	1 გ.	2 კ.
იმპე ფეკელ.	თორწეში გამომცხვარი:		
პირველი ხარისხის	—	1 გ.	4 1/2
მეორისა	—	1 გ.	3 კ.
მესამისა	—	1 გ.	2 1/2
ჭვარის-მამი ზური:			
პირველი ხარის.	ლაგაში 1	გ.	4 1/2
მეორის ხარის.	ლაგაში 1	გ.	3 1/2
მესამისა	—	1 გ.	3 კ.
ძრახის ხორცი:			
პირველის ხარისხისა	—	1 გ.	7 კ.
მეორისა	—	1 გ.	6 კ.
სუკი	—	1 გ.	14 კ.
ცხვრის ხორცი	—	1 გ.	7 კ.
ღორის ხორცი:			
პირველის ხარისხისა	—	1 გ.	— კ.
მეორისა	—	1 გ.	— კ.

განცხადებანი

გამოცხადება

ზორის საძალაძო გაგვიბა (შპრაპა)

ატხადებს საყოველთაო ცნობისათვის, რომ ამ გამგეობის სამსჯავროში დანიშნულია მ.ც.და-სხრასამა სექტემბრისა მამრობა, გარდა განმეორებით ვაჭრობისა, საქალაქო შარნაბის ანთამის ვაცემანედ ერთის წლის ვადით. ამ ვაჭრობის პირობები შეიძლება ვაისინჯოს გამგეობის კანცელიარიაში ყოველ ღვე დილის

გამოვიდა და ისყიდება

თბილისში — „ნობათი“-ს რედაქციაში (ალექსანდროვის ბაღთან, ხაზინის ვევრდით, თუმანიშვილის სახლში № 7), შავერდოვის საავენტოში და ქუთაისში — მ. შილაძეების წიგნის მაღაზიაში

თორნიკე შრისთავი

ისტორიული პოემა

თხ. აბაძისა. გამოცემა ქუთაისი „ნობათი“-ს რედაქციისა.

ფასი ერთი მანათი.

მინც ამ წიგნს პირ-და-პირ „ნობათი“-ს რედაქციიდან დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი არ ვალხდება.

(5—1)

არწრუნისეულ ქარვასლაში

სასახლის ქერაზედ, იძლევა ქირით მადანები, სადგურები კანტორებისა, სავაჭრო სახლებისა და საწყობებისათვის. პირობების შეტყობა შეიძლება ქარვასლის კანტორაში.

(25—15)


ცხრა საათიდან შტაბლის შეკრებილი საათამდე.

მრთს ქალსა სურს ასწავლოს ბავშვებს ოჯახში და შაპროს ტანოსა სემლი. თანხმა თბილისის ვარედ ვასელაზედაც.

ადრესი დასტოვეთ „დროების“, რედაქციაში.

(5—4)

ინგლისური რკინის კარაოტები.



ერთის სწოლი 7 მანეთიდან და ორის სწოლი 14 მანეთიდან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25% -ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, სავარაქე, სმპაქე, ჩაის და სტოლის გოგონები ჩანგლებითა, ფანდისი, დასადგმელი, პირის-სახანი, სტაქნები, სუფოგანივი, საწყაო, სკები, რიუმები, გრაფინები, საქაშური თებები, ბლიუდები, სასალათეები, ტაშტები, სარქველები, სამარელები, გარჩიცის საფხელები, უნაგირები ვაცისა და ქალისა; ადვირები, ხლისტები, ტანის-მოსის დასაკიდებლები, საბაღო მარატლები, ვაქსები, უთოები, წისქვილები, ხეხები, ქლიბები, კლიტები, ინგლისის თოფები და რეგულერები, ჰეიები, ზარადები, კანსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, გატერბრუჭი, სახნები, ჩულები, წინდები, სუფრები, სალქტებებისათვის რგოლები, ემალიანი ტურჭლეა, მურაბები, ვამიეტები, შაგულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტოგონები და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში № 156-157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს უუწადება მიაჭრეთ. (100—52)